საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე

GEORGIA
AUTONOMOUS REPUBLIC OF AJARA
CHAIRMAN OF GOVERNMENT

№ 2377/02

"21" 02 2025

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეს

ბატონ დავით გაბაიძეს

ბატონო დავით,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების პროექტებს: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების ხელშეწყობის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“.

ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს მივმართავ თხოვნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მიიღოს გადაწყვეტილება წარმოდგენილ კანონების პროექტებზე სესიებს შორის პერიოდში ვადების დინების გაგრძელებებისა და მათი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2025 წლის საგაზაფხულო სესიამდე განხილვის თაობაზე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 101-ე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, წარმოდგენილი კანონების პროექტების გამარტივებული წესით - ერთი მოსმენით განხილვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

ზემოაღნიშნულ კანონების პროექტებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე განსახილველად წარადგენენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრი - ჯაბა ფუტკარაძე და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე - ოთარ დიასამიძე.

05-01-08/02
21 02 2025
9 ფურცელი

პატივისცემით,

თორნიკე რიჟვაძე

კ. გამსახურდიას ქ. N9, 6010 ბათუმი, საქართველო
ტელ.: +995 (422) 27 20 00
info@ajara.gov.ge

9, K. Gamsakhurdia Str., 6010 Batumi, Georgia
Phone: +995 (422) 27 20 00
info@ajara.gov.ge

პროექტი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსი-ლებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, (www.matsne.gov.ge) 25/12/2018, სარეგისტრაციო კოდი 010240010.30.056.016077) შეტანილ იქნეს ცვლილება და კანონის:

1. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის:
   ა),,ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   „ა) განათლებისა და სპორტის;“;
   ბ) „ა“ ქვეპუნქტის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის „ა[1]“ ქვეპუნქტი:
   „ა[1]) კულტურის;“.
2. 43-ე მუხლის:
   ა) ,,დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
   ,,დ) საარქივო სამმართველო – განათლებისა და სპორტის სამინისტროს.“

მუხლი 2.

1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო რეორგანიზებულ იქნეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროდ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროდ.

2. განათლებისა და სპორტის მიმართულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო ჩაითვალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ განათლებისა და სპორტის მიმართულებით საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

3. კულტურის მიმართულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო ჩაითვალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამო-ნაცვლედ კულტურის მიმართულებით საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

4. განათლებისა და სპორტის მიმართულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების კონტროლის განმახორციელებელ ორგანოდ განისაზღვროს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო, ხოლო კულტურის მიმართულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირების სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოდ - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო.

5. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მის სისტემაში არსებული სხვა, შესაბამისი უწყებების საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამონაცვლე უწყებების მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე. ამასთანავე, ამ სამართლებრივ აქტებში ცვლილების შეტანის ან მათი ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილება ენიჭებათ შესაბამის უფლებამონაცვლე უწყებებს.

6. ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დასაქმებული პირები (საჯარო მოხელეები, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები) გადაყვანილი იქნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროში იმავე თანამდებობებზე, რომლებიც მათ ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის ეკავათ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, ხოლო ასეთი თანამდებობების არარსებობის შემთხვევაში – მათ ტოლფას თანამდებობებზე.

7. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შექმნას სათათბირო ორგანო – კომისია, რომელიც განსაზღვრავს იმ უფლებამონაცვლე სამინისტროს, რომელშიც უნდა იქნეს გადაყვანილი ამ კანონის ამოქმედების მომენტისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დასაქმებული შესაბამისი პირი (საჯარო მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები). ეს კომისია ხელმძღვანელობს საჯარო მოხელის, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების მიერ განხორციელებული საქმიანობით, მისი სამსახურებრივი ფუნქციებით, მოვალეობებითა და კვალიფიკაციით.

8. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ ამ პუნქტის ამოქმედებიდან 20 დღის ვადაში შექმნას კომისია, რომელიც თავის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ამ კანონის ამოქმედებამდე არსებული საბალანსო მონაცემების მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსათვის გადასაცემი აქტივების, მიმდინარე ვალდებულებებისა და სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის) განსაზღვრას, განკარგვას და აღნიშნული სამინისტროებისათვის მათ გადაცემას. ამ

კომისიის სხვა უფლებამოსილებებს განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

9. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებები და მოვალეობები, რომლებიც გათვალისწინებულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების მართვის უფლებით გადაცემის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულებებით, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს გადაეცეს განათლებისა და სპორტის სფეროში მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს – კულტურის სფეროში მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში.

10. უფლებამონაცვლე სამინისტრო უფლებამოსილია ამ პუნქტის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 3 თვისა ამ სამინისტროში ან/და მის სისტემაში დაიწყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სათანადო ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ფუნქციათა ანალიზის საფუძველზე ოპტიმიზაციის და შესაბამისად, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის ან/და სხვა საჯარო დაწესებულებასთან შერწყმის პროცესი.

11. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ და შესაბამისმა უწყებებმა საჭიროების შემთხვევაში, ამ პუნქტის ამოქმედებიდან 2025 წლის 31 დეკემბრამდე სათანადო უწყებების წარდგინებით უზრუნველყონ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა, აგრეთვე სათანადო ნორმატიული აქტების (მათ შორის, ერთობლივი ნორმატიული აქტების) მიღება/გამოცემა.

მუხლი 3.

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა და მე-2 მუხლის პირველი–მე-6 და მე-8–მე-11 პუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი და მე-2 მუხლის პირველი–მე-6 და მე-8–მე-11 პუნქტები ამოქმედდეს 2025 წლის 1 მარტიდან.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე

ბათუმი,
2025 წლის თებერვალი
№

განმარტებითი ბარათი

,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს რეორგანიზაციის შედეგად ჩამოყალიბდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა გამოირჩევა კულტურული რესურსების, ფესტივალებისა და სხვა კულტურული აქტივობების მრავალფეროვნებით, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და ფოლკლორის უნიკალური ნიმუშებით. არსებული სამინისტროს ნაცვლად დარგობრივი სამინისტროს დამოუკიდებლად შექმნა, მნიშვნელოვნად ხელს შეუწყობს ერთიანი კულტურის პოლიტიკის გატარებას, კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას, უნიკალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ფოლკლორის დაცვა-შენარჩუნებას. შესაბამისად, არსებობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელისუფლებაში სტრუქტურული ცვლილების განხორციელების საჭიროება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო აერთიანებს სხვადასხვა დარგებს. ამ დარგების განვითარება უმნიშვნელოვანესი და პრიორიტეტული მიმართულებებია. არსებული სამინისტროს ნაცვლად დარგობრივი სამინისტროების დამოუკიდებლად შექმნა კი მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს განათლებისა და სპორტის და კულტურის სფეროებში სახელმწიფოს გაცხადებული სტრატეგიული მიზნების მიღწევასა და დასახული ამოცანების ეფექტიანად განხორციელებას. ამასთან, დარგობრივად ცალკე სამინისტროს შექმნა ამ უმნიშვნელოვანესი დარგების კიდევ უფრო სწრაფი განვითარების დამატებითი მექანიზმი გახდება. ასევე, ცვლილება ხელს შეუწყობს ფინანსების ეფექტიან ხარჯვას და ამ სფეროში ჩართული სუბიექტების საჭიროებების დაკმაყოფილებას.

გარდა ამისა, მოქმედი სამინისტრო მოიცავს სამ სფეროს, რომლებიც ერთმანეთისაგან განსხვავდება თავისი სპეციფიკით, რაც დარგობრივი პოლიტიკის განხორციელებისას განსხვავებული მიდგომების გამოყენებას საჭიროებს. შესაბამისად, სამინისტროს, როგორც ამ სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განმახორციელებელი ორგანოს ფუნქციები მეტად ეფექტიანად განხორციელდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორად გაყოფის შემთხვევაში.

კულტურული ცხოვრების განვითარება და მოსახლეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა კულტურული აქტივობებით მნიშვნელოვანია საზოგადოების განვითარების

და ცნობიერების ამაღლებისათვის, რაც თავის მხრივ განაპირობებს ძლიერი და განათლებული საზოგადოების ჩამოყალიბებას.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად „სახელმწიფო ზრუნავს ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაზე".

საქართველოს კანონი „კულტურის შესახებ" აკისრებს სახელმწიფოს ყოველმხრივ ხელი შეუწყოს კულტურის განვითარებას, კულტურულ ცხოვრებაში მოქალაქეთა შეუზღუდავ მონაწილეობას, კულტურის მონაპოვართა ხელმისაწვდომობას, ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა საყოველთაო აღიარებას, საერთაშორისო კულტურულ ურთიერთობათა გაღრმავებასა და გაფართოებას, შემოქმედებით ინტეგრაციას.

კულტურის სფეროს მასშტაბისა და თავისებურებებიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს გამოყოფის შედეგად უფრო მეტად განვითარდება კულტურის შესაბამისი დარგები და ჩამოყალიბდება მათი მართვის თანამედროვე მოდელი. აღნიშნული ორიენტირებული იქნება კულტურის ხელმისაწვდომობაზე, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და ხელოვანთა მხარდაჭერაზე.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის პირველი მუხლის თანახმად, ცვლილება შედის კანონის მე-18 მუხლის მე-2 პუნქტში, კერძოდ ახალი რედაქციით ყალიბდება ,,ა" ქვეპუნქტი და ,,ა" ქვეპუნქტის შემდეგ დაემატება ,,ა[1]" ქვეპუნქტი. შესაბამისად, სამინისტროების ჩამონათვალში განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ნაცვლად, აისახება განათლებისა და სპორტის და კულტურის სამინისტროები.

ასევე, ცვლილება აისახება კანონის 43-ე მუხლში, რომელიც განსაზღვარავს სავქეუწყებო დაწესებულებების დაქვემდებარების საკითხს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის დაქვემდებარებაში არსებული საქვეუწყებო დაწესებულება-საარქივო სამმართველო დაექვემდებარება განათლებისა და სპორტის სამინისტროს.

კანონპროექტის მე-2 მუხლი განსაზღვრავს სამინისტროების უფლებამომოსილებებს და უფლებამონაცვლეობის საკითხებს, კერძოდ, განათლებისა და სპორტის მიმართულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტრო ჩაითვლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ განათლებისა და სპორტის მიმართულებით საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში. ხოლო, კულტურის მიმართულებით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ფუნქციები და უფლებამოსილებები გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტრო ჩაითვლება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლებამონაცვლედ კულტურის მიმართულებით

საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში.

ასევე, დადგინდება, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მის სისტემაში არსებული სხვა, შესაბამისი უწყებების საქმიანობასთან დაკავშირებით მიღებული/გამოცემული სამართლებრივი აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას ამ კანონით გათვალისწინებული შესაბამისი უფლებამონაცვლე უწყებების მიერ ახალი სამართლებრივი აქტების მიღებამდე/გამოცემამდე. ამასთან, ამ სამართლებრივ აქტებში ცვლილების შეტანის ან მათი ძალადაკარგულად გამოცხადების უფლებამოსილება მიენიჭებათ შესაბამის უფლებამონაცვლე უწყებებს.

ადამიანური რესურსების მართვის მიმართულებით განისაზღვრება, რომ კანონის ძალაში შესვლისას მოქმედ სამინისტროში დასაქმებული პირები (საჯარო მოხელეები, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები) გადაყვანილი იქნებიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში იმავე თანამდებობებზე, რომლებიც მათ კანონის ძალაში შესვლის ეტაპზე ეკავათ, ხოლო ასეთი თანამდებობის არარსებობის შემთხვევაში, თანამშრომლები გადაყვანილი იქნებიან შესაბამის ტოლფას თანამდებობებზე. ამ მიზნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში შეიქმნება კომისია, რომელიც კანონის ამოქმედებამდე განსაზღვრავს თუ რომელ უფლებამონაცვლე სამინისტროში უნდა იქნეს გადაყვანილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში კანონის ძალაში შესვლისას დასაქმებული თითოეული პირი (საჯარო მოხელე, ადმინისტრაციული ხელშეკრულებით და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები). კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს საჯარო მოხელის ადმინისტრაციული ხელშეკრულებით/შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების განხორციელებული საქმიანობის, სამსახურებრივი ფუნქცია-მოვალეობებისა და კვალიფიკაციის გათვალისწინებით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას დაევალება, კანონის ამოქმედებიდან 20 დღის ვადაში შესაბამისი კომისიის შექმნა, რომელიც მის მიერ განსაზღვრულ ვადაში უზრუნველყოფს კანონის ამოქმედებამდე არსებული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს საბალანსო მონაცემების მიხედვით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსათვის გადასაცემი აქტივებისა და მიმდინარე ვალდებულებების, აგრეთვე სამსახურებრივი დოკუმენტაციის (მათ შორის, შესაბამისი საარქივო მასალისა და სხვა დოკუმენტაციის) განსაზღვრას, განკარგვას და აღნიშნული სამინისტროებისათვის გადაცემას. ამ კომისიის სხვა უფლებამოსილებებს განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წილობრივი მონაწილეობით მოქმედ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებით დგინდება, რომ ამ საწარმოების მართვის უფლებით გადაცემის თაობაზე დადებული შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს უფლება-მოვალეობები გადაეცემა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს ამ სფეროებში მოქმედ კერძო

სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებით, ხოლო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს - კულტურის სფეროში მოქმედ კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან მიმართებით.

კანონის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 3 თვისა უფლებამონაცვლე სამინისტროები უფლებამოსილნი იქნებიან, სამინისტროში ან/და მის სისტემაში დაიწყონ რეორგანიზაცია (მათ შორის, ფუნქციათა ანალიზის საფუძველზე ოპტიმიზაცია) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამასთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა და შესაბამის უწყებებს დაევალებათ, კანონის ამოქმედებიდან 1 წლის ვადაში (საჭიროების შემთხვევაში, სათანადო უწყებების წარდგინებით) უზრუნველყონ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობა, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში სათანადო ნორმატიული აქტების (მათ შორის, ერთობლივი ნორმატიული აქტების) მიღება/გამოცემა.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო :

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ორად გაყოფასთან დაკავშირებული ხარჯები გათვალისწინებულია ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონით.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის გავლენა საშემოსავლო ნაწილზე ასახულია ,,აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტში.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის თანახმად, არსებული სამინისტროს ძირითადი ფუნქციები შენარჩუნებული იქნება მთავრობის ახალ სტრუქტურაში, რომლის ჯეროვანი განხორციელებისათვის საჭიროა შესაბამისი რესურსი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2025 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მთლიანი ბიუჯეტი შეადგენს 154 000 000 ლარს. აქედან კულტურის მიმართულებით პროგრამული ბიუჯეტი შეადგენს 48 410 120 ლარს.

იმის გათვალისწინებით, რომ კანონპროექტის თანახმად კულტურის სამინისტროს გამოყოფა ძალაში შედის პირველი მარტიდან, იანვარ - თებერვლის ხარჯვითი ნაწილი, მათ შორის კულტურის მიმართულებით, ასახული იქნება გაყოფის შედეგად შექმნილი განათლებისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტში. დანარჩენილი ფინანსური რესურსი გადავა კულტურის სამინისტროს ბიუჯეტში. ასევე, განათლებისა და სპორტის სამინისტროს დარჩება პროგრამა ,,კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“. შესაბამისად, კულტურის სამინისტროს

პროგრამული ბიუჯეტი 2025 წლის 1 მარტიდან, გარდა აპარატის ხარჯებისა, განისაზღვრება დაახლოებით 40 700 000 ლარით.

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართ ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირთათვის, რომელთა მიმართ გავრცელდება მისი მოქმედება (გარდა სამინისტროს გაყოფის შემდეგ, თითოეული სამინისტროს დამტკიცებული საშტატო განრიგის მიხედვით არსებულ ვაკანტურ თანამდებობებზე შემდგომში დანიშნული პირების შემთხვევისა) გამომდინარე იქიდან, რომ კანონის ამოქმედების დროისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში დასაქმებული პირები (საჯარო მოხელეები, ადმინისტრაციული და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები) გადაყვანილი იქნებიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროში ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროში იმავე თანამდებობებზე, რომლებიც მათ ამ კანონის ძალაში შესვლის ეტაპზე ეკავათ, ხოლო ასეთი თანამდებობის არ არსებობის შემთხვევაში - მის ტოლფას თანამდებობებზე.

ბ1) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტის მიღება არ იქონიებს ზეგავლენას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ2) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტს არ აქვს მოსალოდნელი ზეგავლენა გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

წარმოდგენილი კანონპროექტი მოწონებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მიერ.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის აპარატი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.